ხუთშაბათი 1919 წ. თებერვალს 20 № 39 | ხუთშაბათი 1919 წ. თებერვალს 20 № 39
ყოველდღიური გაზეთი | ფასი თბილისში კოპიოზიაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დამწუხრებული შვილები: შალვა, ირაკლი, ნიკოლოზი, ლევანი, დაი სოფიო ლეონიძისა შვილებით, რევაზ და ევგენია გედევანიშვილები მეუღლი ანასტასია გულისაშვილისა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი

მარიამ ნიკოლოზის ასული

მათიკაშვილისა

დაკრძალვა სოფელ პატარძეულში ხუთშაბათს, 20 იანვარს.
2—2196—2

გიორგი სტეფანეს ძე, მეუღლე მისი ოლღა კირილეს ასული, შვილები: მაიკო და ნინო ფარადაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი პირველებისა, რძალი მეორეთა ძალო

მ რიამ (მაიკო) ნიკოლოზის ასული

მათიკაშვილისა

დასაფლავება მოხდება ს. პატარძეულში 20 თებერვალს.
1- 2130—1

ქალაქ თელავში შაბათს, 22 თებერვალს მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი.

ქნ. ნინო დავითის ასული

ვახვახიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთ და ნაცნობთ აუწყებენ შვილები დარია ალექსანდრეს ასული ჩერქეზიშვილისა, ეკატერინე ალექსანდრეს ასული ერისთავიშვილისა და თამარ ალექსანდრეს ასული აბაშიძისა, ქმრებით და შვილებით. 1—2129—1

გულ მოკლულნი ქრისტინე ტარასის ასული მეუღლე ვეზირიშვილისა, კატუშა დავითის ასული ლოლაძისა, შალვა, სიმონი, თამარა და ბაბულა ვეზირიშვილები, სიდედრი მზეხათუნ აბაშიძისა, ქეთინა აბაშიძისა, კესარია თავზარაშვილისა, ცოლის ძმები: სერგეი, ივანე, ილია და სოსიკო აბაშიძეები ცოლებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარის პირველის ქმრისას 2 5 ძვირფასის მამისას დანარჩენების სიძის

დავით იოსების ძის

ვეზირიშვილის

მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და შემდეგ პანაშვიდი სოფ. საქარაში მაცხოვრის ეკლესიაში 22 ამა თებერ. 1919 წ. 1 2128 1

დები: ნინა ამირეჯიბისა, მარია გეგელაშვილისა, ძმები დიმიტრი და გიორგი ვეზირიშვილები. რძლები: აგრაფინა და სონია ვეზირიშვილებისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 22 ამა თებერვალს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის და საყვარელის ძმის და მაზლის

დავით იოსების ძე

ვეზირიშვილის

სულის მოსახსენებლად. სოფ. საქარაში 22 ამა თებერვალს 1919 წელს.
1 - 2127—1

დეკანოზი იოანე და ნინო ლევანის ასული ცისქიშვილები შვილებით ელენე, ლიზა, ნატაშა ანო, თამრო, კატო ალექსი და მიშათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი სიმამრის მეორე მამის ხოლო დანარჩენნი საყვარელი პაპის

ლევან ვახტანგის ძე

ხიდირბეგიშვილის

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 20 თებერვალს ქ. სურამში კვირაცხოვლის საგვარეულო სასაფლაოზე. ცხედრის გამოსვენება დილის 10 საათზე.
1—2135—1

ნინო ივანეს ასული შაქრო, ელო და ნინა ხიდირბეგიშვილები გულდადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლის მეორე მამის ხოლო მესამენი საყვარელი პაპის

ლევან ვახტანგის ძე

ხიდირბეგიშვილის

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 20 თებერვალს ქ. სურამში კვირაცხოვლის საგვარეულო სასაფლაოზე ცხედრის გამოსვენება დილის 10 საათზე.
1—2135—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მინადორა ბართლომეს ასული, შვილები: ალექსანდრა, ჩაქო, საშიკო და მარუსია, ძმები: ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი, რძლები: ლიდა და პელო და მართა, სიძე ანტონ გეგნავა და პორუჩიკი ვასო გორგაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ შაბათს, 22 თებერვალს, ქ. ახალსენაკში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარის

ვასილ საველის ძე გაზეჭკირიას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო. (1—2131—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები და მეუღლე ახლად გარდაცვალებულის

ალექსანდრე (ტუკა) მჩაბლისა

უღრმეს მადლობას სწირავს ნაცნობთ, ნათესავთა და მეგობრებს, ვინც წერილობით ან დასწრებით პატივი გვცეს. (1—2132—1)

მოიკითხეთ ყველგან

ღვინო

ჩაჩიბაიასი

(8—2087—4)

ნატურ ლურ ღვინო

ეკატერინენფელდის ახალ შენობიდან სუფთა და წმინდა. იაფად იყიდება სავაჭრო

„ეკატერინენფელდში“

რეუტოვის ქუჩა, № 13. 3—2119—2

საყველიეროთ

აპელსინები

საყველიეროთ

(რიზედან), რჩეული ჯიშის, (იავა) ჰიგანტი, ეკსტრა, № 1 № 2.

30 მანეთიდან 12 მანეთამდე ათეული

ბათომის ფასებზე 50 პროც. დაწეული და თბილისის ბაზრისაზე 100 პროც. იაფი. ვაჭრობა საჯაროდ ნარდათ და წვრილად. მიხეილის პრ. „კინო-პალასის“ გვერდით.
3—2114—2

მოითხოვეთ

ქვა-ნახშირი

დიდი ეკონომიაა, სითბო 2-ნახ. ჯერ მეტი შეშაზე.

ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია

ნახშირის მთხოვნელნი უნდა ჩაეწერნენ: გრიბოედოვის ქუჩა, № 6, მესამე სართული, დილის 11—1 საათამდე.
3—2120 3

ედუარდ კლარის

ფოტოგრაფიასთან გახსნილია

პორტრეტების გადიდების ...

სტუდია. პორტრეტები კეთდება ყოველ ძველ სურათებიდან, ნატურალურ სიდიდემდე როგორც შავი საღებავით ისე ტუშით. მისამართი: სასახლის ქ. № 5. ქართული კლუბის შესავალი.
1—1—1

პუშკინის ფოტოგრაფია

ს. ა. მიჩნიკისა

პუშკინის ქუჩა № 5, პასსაჟი.

ასრულებს სამხატვრო პორტრეტებს მცირე ზომიდან ნატურალურ სიდიდემდე. ზეთით, აკვარელით და პასტელის საღებავებით აგრეთვე შავი სეპიით. მშვენივრად შესრულება პორტრეტებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია სვინდისიერად შესრულებისთვის პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღიაა დილის 9 საათიდან საღ. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოუკლებლივ
1—1—1

მკითხავი

ცნობილი ფსიხო-გრაფოლოგი

ალექსი ალექსანდრეს ძე საბლერი

უშეცდომოდ იგებს: ბანქოს ქაღალდზე, ხელის ნაოჭებზე, წერილით და ფოტოგრაფიულ სურათით წარსულს, აწმყოს და მერმისს. სასყიდელი შეთანხმებით. იღებს 10—2 და საღ. 3—5 ს. გუნიბის ქუჩა (მოსკოვის ქუჩის ზემოდ მეორე ქუჩა) გუნიბის შესახვევი № 1. უკანასკნელი საერთო შესავალი კარები. ბინა 7.
2—2133—1

სახელმწიფო თეატრი.

ხუთშაბათს, 20 თებერვალს 1919 წ. წარმოდგენა № 2[illegible]

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილ იქნება მეორედ

სინათლე

მეორე ნაწილი. ფერია ზღაპარი 7 სურ. ი. გედევანიშვილისა

დასის გარდა მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ხორო და ორკესტრი. ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით და ქ. ბაუერზაკსის მონაწილეობით.

მუსიკალური ნომრები შედგენილია სპეციალურად ამ პიესისათვის კ. ფოცხვერაშვილის მიერ. დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი ზილცმანის მიერ.

რეჟისორი შალვა დადიანი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღ. 7 საათზე

წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის

სამკურნალო

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. (ცნობებისთვის მიჰმართეთ: სამკურნალოს ([illegible] ქ. № 27. ტელ. 82) ან დირექტორს ა. პეტრიაშვილს [illegible] ქ. № 7, ტელეფონი 4—36.
(12—1102—3)

## არჩევნების შედეგი

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები დამთავრდა. [illegible] შეიძლება არჩევნების შედეგების გათვალისწინება და ზოგიერთ საჭირო დასკვნის გაკეთება.

ორი გარეშე პირობა უშლიდა არჩევნებს. ახალციხის და სოჭის რაიონებში ომის წარმოება და ის, რომ შუა თებერვალში დიდი თოვლი მოვიდა და ცუდი დარი დაიჭირა. 14 თებერვალს არ შეიძლებოდა ყინვების გამო სოფლებში გასვლა, ასეთი დღე არ ყოფილა ამ ზამთარში.

მაგრამ მიუხედავათ ასეთ პირობებისა არჩევნებმა, მაინც ჩაიარა და როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს შედარებით აბსენტეიზმი არ უნდა იყოს დიდი, ყოველ შემთხვევაში თუ ფაქტიურათ იყო კიდეც აბსენტეიზმი, ეს არჩევნების შედეგებს მაინც და მაინც არ დაჩნია.

დამფუძნებელ კრების არჩევნებში ერთმანეთს ებრძოდენ ორი პარტია: სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების.

დანარჩენი სოციალისტური პარტიები: სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები არჩევნების დაწყებამდისაც განწირული იყვენ და მათ საარჩევნო კამპანიას ეტყობოდა კიდეც, რომ მათი დამარცხება აუცილებელი იყო, ამიტომ ეს პარტიები არ არის ანგარიშში მოსატანი.

გარდა ეროვნულ-დემოკრატებისა სხვა არა სოციალისტური პარტიებიც იღებდენ მონაწილეობას არჩევნებში, როგორც: რადიკალ დემოკრატები, უპარტიონი და ეროვნული პარტია—მაგრამ ამ პარტიების ბედიც წინდაწინ იყო გადაწყვეტილი და მათი დამარცხება თვითონ ამ პარტიების მეთაურებისთვისაც არ იქნება მოულოდნელი.

ბრძოლა სოციალდემოკრატიასა და ეროვნულ დემოკრატიას შორის არ იყო სწორი. სოციალდემოკრატების ხელში იყო მთელი ადმინისტრატიული აპარატი მთავრობისა და ამის გარდა აუარებელი მატერიალური რესურსები. მართალია არჩევნების წინ რამდენიმე თვით ადრე შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომ ადმინისტრაცია არ ყოფილიყო პარტიულ მიზნებისთვის გამოყენებული და არ ჩარეოდა არჩევნების საქმეებში—მაგრამ ასეთ ცირკულიარებს სხვა დროსაც არ ჰქონია რამე გავლენა და მით უმეტეს არ ექნებოდა ჩვენში, სადაც ადმინისტრაცია მიჩვეულია პარტიულ ორგანიზაციების ეგოიზმს.

ამიტომ ბ-ნ მინისტრის ქუსტი ქუსტად დარჩა და პილატეზე ნაკლებ არ დაიბანა ხელი [illegible] გრამ დიდი ხანია, რაც მენშევიკებმა გამოვიდენ „სარდაფებიდან“ და შეიქნენ ლეგალურ მართველ პარტიათ, სოციალ-დემოკრატებმა მოასწრეს შეექმნათ ურიცხვი კლიენტელა კურსდაუთავებელ პროპაგანდისტებიდან, რომელნიც თავიანთ მდგომარეობის შენარჩუნებისთვის მწვავედ იბრძვიან, და მათი ბრძოლა გამარჯვებით გათავდა კიდეც. ამ კლიენტელის შექმნის წყალობით გადიან რამდენიმეთ კიდევ ფედერალისტები.

არჩევნების გათავების და აგრეთვე ადგილებიდან მოხსენებების გაკეთების შემდეგ ჩვენ შეძლება გვექნება ავნიშნოთ, თუ რა საარჩევნო ხრიკებს მიმართავდენ სოციალ-დემოკრატები და რა ძალადობას ხმარობდენ ამომრჩევლებზე, მანამდი კი უნდა ითქვას, რომ მათ გაიმარჯვეს და გამარჯვების სიხარულსაც ალარ მალავენ.

„ერთობა“ მორიგ მეთაურში აუწყებს მკითხველებს ნაციონალისტების დამარცხებას და თავიანთ გამარჯვებას. ჩვენ ვერ ვუარჰყოფთ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას, მაგრამ არ შეგვიძლია აქას თავისი დაფასება არ მივცეთ.

ქალაქებში და დაბებში მთელ საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ღირსეულათ ებრძოდა სოციალისტებს, ზოგ ადგილას დაამარცხა კიდეც, ზოგ ადგილას თანასწორი ხმები მიიღო, მიუხედავათ იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები უფლების ძალით იყვნენ აღჭურვილნი. ამ ადგილებში ხმას იძლეოდენ აქ შედარებით შეგნებული ელემენტები და მათ ზურგი აქციეს სოციალ-დემოკრატებს და ეროვნულ დემოკრატებს მისცეს ხმა.

ასეთი პროპორცია რომ ყოფილიყო მთელ საქართველოში, სოციალ-დემოკრატები სასტიკათ დამარცხდებოდენ, მაგრამ მათ კომისრებს და პროპაგანდისტებს აუარებელი ხალხი მიჰყავთ სოფლებში საარჩევნო ყუთებთან და ამის ბრალია, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება სოციალ-დემოკრატების პარტიულ ყრილობას დაემგვანება და არა დამფუძნებელი კრებისა. ჩვენ სხვა დროს შევეხებით, თუ რა ზნეობრივ და ინტელექტუალურ ძალას შეადგენს ახალი შემადგენლობა საქართველოს დამფუძნებელ კრებისა, მაშინ ჩვენ განვმარტავთ როგორი უნდა იყოს ნაციონალისტების ოპოზიცია და ან სად იქნება ეს ოპოზიცია...

60

## უკანასკნელი ცნობები

16 თებერვალს ფოთში ჩამოვიდა დიდძალ სამხედრო იარაღით და მასალით აღჭურვილი მოხალისეთა გემი. გემის დოვლათი თურანში გენ. ლიტვინოვისთვის უნდა გაეგზავნათ, მაგრამ გემი იარაღით დაატყვევეს.

გერმანიაში მთავრობის ჯარმა დორტენში გაიმარჯვა. გერზინკირკენში ძალა-უფლება სპარტაკელების ხელშია.

ზალცბურგის ლანდტაგმა გერმანიასთან შეერთების რეზოლიუცია ერთხმად მიიღო.

ხალხთა ლიგის პირობათა ტექსტი კიდევ გამოქვეყნდა.

დიდ საბჭოშ. წარმოშად პირჩიეს კომისია, რომელიც რუმინიის მოთხოვნილებას განიხილავს.

საბჭოთის საკითხი გადაეცა კომისიას, რომელშიაც შედის: ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის თრ-თრი წარმომადგენელი.

რუმინიაში გლეხთა აჯანყებაა.

ათინის სააგენტოს ცნობით, საბერძნეთის ჯარი სტამბოლში შევიდა.

## პრესსა

**„ერთობის სიხარული"**

გაზეთები უკვე სწერენ არჩევნების შედეგზე. „ერთობის" აზრით:

„ნაციონალიზმი დამარცხდა, რითაც ლახვარი ჩაეცა რეაქციას რადგან ნაციონალიზმი არსებითად რეაქციონური მიმდინარეობაა".

სოციალ-დემოკრატიამ რომ გაიმარჯვა ეს აშკარაა და ამის გამო არ ვდავობთ.

მაგრამ იბადება საკითხი: ვინ დამარცხდა?

ერთობის აზრით—ნაციონალიზმი!

მართალია ეს?

დამფუძნებელ არჩევნებში, მაგალითად ისეთი მნიშვნელოვანი პარტია, როგორც ეროვნულ-დემოკრატია არის, ნაციონალისტური დროშით არ გამოსულა. დემოკრატიზმი—აი, რა ეწერა მის დროშას.

როგორც იცვავა, ვერც ეროვნული დემოკრატია მოაგროვებს იმდენ ხმას, რამდენიც შეეფერება მის წონას და მნიშვნელობას ჩვენ ცხოვრებაში. ნუ თუ ესეც ნაციონალიზმის დამარცხებაა?

არა ბატონებო! ამ არჩევნებში დამარცხდა არა ნაციონალიზმი, დამარცხდა ყველა ის, რაც არა სოციალდემოკრატიული იყო.

ეს კი სულ სხვა ფერს აძლევს სოციალ-დემოკრატიის „გამარჯვებას".

რასაკვირველია, საქმე არც ისე არის და ეს გამარჯვება არც ისე ახარებს სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ წრეებს, როგორც „ერთობისა" და „ბორბას" მეთაურებს ჰგონიათ. ამ გამარჯვებაში კონფუზი უფრო მეტია, ვიდრე გრძნობა ნამდვილის კმაყოფილებისა. გამარჯვებული სოციალ-დემოკრატია იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც ზედ-მეტად გაძღა და...

— გაიბერა!

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, გამარჯვებულ სოციალ - დემოკრატიას ღილების გახსნა დასჭირდება. და ეს გამარჯვება კი არა, უკვე „ღორმუცლობაა"—„გაუმაძღრობა", რითაც განირჩეოდა ჩვენი სოციალ-დემოკრატია უწინაც და ეხლაც.

—

**„სახალხო საქმე"**

არჩევნების შედეგზე სწერს „სახალხო საქმე"-ც. როგორც ყოველთვის, ეხლაც ძნელია იმის გაგება, ვის გამარჯვებაზე სწერს „სახალხო საქმე", თავისა, თუ სოციალ-დემოკრატიის, მაგრამ ტონი ისეთია წერილისა, რომ ეტყობა ფედერალისტები ამ არჩევნებიდან „დიდსა და მრავალს წყალობას" გამოელიან.

მათ გამარჯვებას ჩვენ დუშეთში „ამოჭრილ მერის" სპექტრით ვუყურებთ.

საზოგადოთ კი ვფიქრობთ, რომ მათი გამარჯვება საქართველოში არავისათვის საშიშრო არ უნდა იყოს.

ასეა თუ ისე—ჩვენ უბრძლით დამფუძნებელ კრებას, რომელიც თავიდან ბოლომდე მენშევიკური იქნება. რამდენი იქნება იქ ფედერალისტური „წვეთი" ეს საინტერესო არ არის.

## მთავრობის ცნობა

გაზეთ „ბორბაში" 11 ამ თვეს მოთავსებულ სტატია სათაურით „საქართველო მოითხოვს დაკმაყოფილებას დიდ ბრიტანეთისაგან" საქართველოს მთავრობა სახალხოდ აცხადებს, რომ გაეცნო რა დაწვრილებით ფაქტებს, იგი სცნობს სტატიაში ნახმარ სიტყვებს უსამართლოდ და შესაძლო იქნება მისი სწორედ გაუგებრობისა. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ბათუმში, პოლკოვნიკი გედევანიშვილი, გენ. ფორესტიე-ვოკერის კავკასიაში ბრიტანეთის ძალების ხელმძღვანელის მოთხოვნის მიერ შეცვლილი იქნება.

საგარეო საქმეთა მინისტრი

**გეგეჭკორი.**

## მოხალისეთა გემის ჩამოსვლა ფოთში

16 თებერვალს, საღამოს საათის 7-ზე, ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა მოხალისეთა ჯარის გემი (გემის სახელი დამახინჯებულია). გემზე აღმოჩნდა მოხალისეთა არმიის აფიცრები და 50-დე ჯარისკაცი. გემს თან ჩამოჰყვა ბლომად გერმანიის ტყვეობიდან დაბრუნებული ქართველი, რუსი და სომეხი ჯარისკაცები. გემი დატყვევებულ იქმნა. მოხალისეებს იარაღი აჰყარეს და ციხეში ჩასვეს. გემზე აღმოჩნდა დიდძალი პურის ფქვილი და სხვა სანოვაგე. აღმოჩნდა აგრეთვე ბევრი სამხედრო მასალა ყუმბარები, ნაღმები, ხელის ყუმბარები და თოფის პატრონები. მარტო პატრონების რაოდენობა შეადგენს 300,000, ყველა ამას კონფისკაცია უყვეს. აფიცერთა დაკითხვით გამოირკვა, რომ გემი მიდიოდა ბათუმში, საიდანაც მიელი ეს სანოვაგე და სამხედრო მასალა უნდა გადაეგზავნათ თურანს (თურქესტანი) გენერალ ლიტვინოვის რაზმისათვის, რომელიც, როგორც ხმები დადის, სდგება ბათუმში. ერთმა აფიცერთაგანმა, პოლკოვნიკმა ხრომისმა განაცხადა, რომ გენ. ლიტვინოვის რაზმს არავითარი დამოკიდებულება მოხალისეთა ჯართან არა აქვს.

## ქრონიკა

**ახალციხის ფრონტიდან დახევის საქმე.** სამხედრო მინისტრმა გამოიძია ახალციხის ფრონტიდან უკან დახევის შედეგები, რის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვა მე-4 პოლკის უფროსი გენერალი გელოვანი და მისი თანაშემწე პოლკოვნიკი მაჩაბელი 3, 6 და 7 რიგის უფროსები სოფელ ჩიხვიდან დახევისათვის სამხედრო სასამართლოში არიან მიცემულნი. სამხედრო მინისტრმა აგრეთვე ბრძანება გამოსცა დაატუსაღონ ცხენოსან დივიზიონის 2 დივიზიის შტაბის აფიცრები: მამულაშვილი, ბლავსვი და კანდელაკი ომის დროს ბრძანების შეუსრულებლობისათვის.

**ახალციხის ფრონტზე დაჭრილ-დახოცილნი.** ახალციხეში ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა 6 აფიცერი. დაიჭრა 7 და 10 უგზო უკვლოდ დაიკარგა. მოკლულ იქმნა 62; ჯარისკაცი დაიჭრა 42; უგზო უკვლოდ დაიკარგა 209 კაცი. მოკლულ აფიცრებთა შორის არიან სამიორთა ბათალიონის აფიცერი მიქელაძე; მე-4 პოლკის აფიცერი მიქელაძე, მე-6 პოლკის ოფიცრები, ტატიშვილი და ქიზელი.

**სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლთან არსებულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება „მსხვერპლი" და „აჩქარისა მჭირს".

**იურიდიულ საზ-ბის წლიური კრება.** დღეს 20 თებერვალს 6 საათზე შესდგება ქართულ იურიდიულ საზოგადოების მორიგი წლიური კრება. სასამართლოს პალატაში. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გ. კვირკველიასი „მომრიგებელ მოსამართლის კომპეტენციის გაფართოების შესახებ"; 2) სასამართლოს გაქართულების შესახებ, მომხსენებელი გ. შალიბაშვილი; 3) იურიდიულ ორგანოს გამოცემის შესახებ; 4) რეფერატების მოწყობის შესახებ; 5) საბჭოს ახალი წევრების არჩევის შესახებ და სხვა მიმდინარე საკითხები.

**პური ბერძენთათვის.** ბერძენთა ეროვნულმა საბჭომ ინგლისის მისიის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება მიეცეთ მათ გამოიტანონ ხრდილოეთ კავკასიიდან პური ამიერ-კავკასიის ბერძენთა მოსახლეობისათვის.

**ერევან-თავრიზის რკინის გზა.** ინგლისის საკომენდანტო ცდილობს მოკლე ხანში ერევან-თავრიზის შუა რკინის გზის აღდგენას. ამ გზას ისინი ჯარების გადასაზიდად საჭიროებენ.

**გაფიცვა.** ქუთაისის ნდობის საზოგადოება ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ორი კვირაა რაც ხსენებულ უწყების მუშები გაფიცულნი არიან. მათი მოთხოვნილებანი მიუღებელია.

**ქუთ. ქალ. გამგეობის შუამდგომლობა.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა რომ ქალაქის მილიციის ხარჯების ნახევარი (70 ათას 728 მ.) ხაზინამ მიიღოს თავის თავზე.

**ბათუმში შესვლისათვის.** ინგლისის მისია აცხადებს, რომ ის ხმები, ვითომც ინგლისელები ბათუმში შესვლას უშლიან, სიმართლეს არ შეეფერება.

**სამხედრო მინისტრის დაბრუნება.** სამხედრო მინისტრი ქუთაისიდან კიდევ დაბრუნდა.

**საგანგებო კოლეგია გენერალ-გუბერნატორის.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ შეერთებულ სხდომაზე რომელთაც დაესწრნენ გვარდიის მთავარ შტაბის, სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელნი აგრეთვე გარნიზონის უფროსი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი, გენერალ-გუბერნატორი და მილიციის უფროსი, დაადგინეს შესდგეს აუცილებლად გენერალ-გუბერნატორთან კოლეგია, რომლის დაუკითხავად გენერალ-გუბერნატორს უფლება არ ექნება გამოსცეს არც სავალდებულო დადგენილება და არც ბრძანება. კოლეგიაში შედიან სახალხო გვარდიის მთავარ-შტაბის თავმჯდომარე, ქალაქის თვითმართველობისა და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელნი.

**უცაბედი მკვლელობა.** 17 თებერვალს მე-2 საკომისარიატოს უბანში ტ. მურადაშვილს უცაბედად გაუვარდა რევოლვერი. ტყვია მოხვდა ზ. ანონოვს და იქვე გარდაიცვალა.

**ძარცვა.** 18 თებერვალს საღამოს 7 საათზე, ვერის დაღმართზე, გაბრიელოვის ბინაზე შეიჭრნენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით წაიღეს 8,500 მან.

**მკვლელობა.** 18 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, საინტენდანტო საწყობის დარაჯმა მოჰკლა გ. მაისეევი, რომელსაც განზრახული ჰქონდა საწყობის გატეხა, რისთვისაც საჭირო იარაღები მოკლულს აღმოაჩნდა.

## დამფუძნებელი კრების არჩევნები

**არჩევნების შედეგი.**

**ხონაკის მაზრა.** დამფუძნებელ კრების არჩევნების შედეგი 18 თებერვალს, საღამომდე სენაკში მაზრაში იყო 91 უბანი: ცნობა მოვიდა 36 საარჩევნო უბნიდან:

**ქახალ-ხონაკი.** (1 უბანი) № 1—968 ხმა, № 2—402, № 3—38, № 5—150.

**თეკლათის საზოგად.** (6 უბანი). № 1—225, № 2—91, № 3—460, № 5—139, № 7—1, № 8—1.

**აბედათი ხონაკის საზოგად.** (2 უბანი). № 1—691, № 2—90, № 3—200, № 5—40, № 7—6, № 11—1.

**ზუგდიდის საზოგადოება** (3 უბანი). № 1—702, № 2—8, № 3—109, № 5 49.

**ნოხირის საზოგად.** (4 უბანი). № 1—1309, № 2—5, № 3—141, № 5—14, № 8 1, № 9—1.

**ბანძის საზოგადოება** (4 უბანი) ცნობები ყველა უბნებიდან არ იყო № 1—1200 ხმა, № 3—360.

**კვათანის საზოგადოება** (6 უბანია) № 1—2424 ხმა, № 2—129, № 5 52.

**ხუჯუნის საზოგადოება** (4 უბანია) № 1—235 ხმა, № 2—113, № 3—3, № 5—92, № 7—2.

**აბაშის საზოგადოება** (2 უბანია) № 1—863; 2—51; 3—41; 5—21.

**ონტოფოს საზოგადოება** (2 უბანია) № 1—771, 2—3, 3—85, 5—41.

**შალადიდის საზოგადოება** (2 უბანი) № 1—627, 2—55, 3—4, 5—4, 5—15, 7—1, 8—2, 11—2.

პროცენტი რომელმაც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში შეადგენს 60—70 პროც. დანარჩენ რაიონებიდან მოსულ ცნობების თანახმად პირველ რიგში გადიან სოციალ-დემოკრატების კანდიდატები.

**ნორიო** (თფ. მაზრა), № 1—1515.

**ლილო** (თფ. მაზრა), № 1—402.

**დიღომი** (თფ. მაზრა), № 1—1441,

**დუშეთის მაზრაში:**

| | № 1 | № 5 |
|---|---|---|
| ფასანაური | 704 | 69 |
| ანანური | 252 | 86 |
| ბაზალეთი | 285 | 87 |
| ყვავილი | 226 | 4 |
| მილახვრის კარი | 203 | 15 |
| საკრამული | 185 | 6 |
| ჰილურტი | 160 | 2 |
| ქაისხევი | 122 | 11 |
| ებნისი | 66 | 13 |
| გრემის ხევი | 159 | 6 |
| არღუნი | 413 | 2 |
| იორი | 192 | — |
| მუხრანი | 1760 | 139 |

სოფხა № 1—1501; მე-3—52; მე-5—4; მე-2—13.

## ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი"

ქართული მუსიკის მემატიანე 1919 წლის დასაწყისს ოქროს ასოებით აღნიშნავს. სწორედ წელს გამოიჩინა ქართულმა მუსიკამ თავისი ნამდვილი სახე. და არა მარტო კოლექტიურმა შემოქმედებამ, რაც აქამომდე ხალხოსნურ ხმებში გამოითქმოდა, არამედ—ინდივიდუალურმა შემოქმედებამაც.

და თითქოს ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ის, რომ ჩამორეკილიყო ზარი ერის თავისუფლებისა.

წარსული წლის მაისის 26 გამოცხადდა დიადი აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამის შემდეგ რვა თვემ გაირა და სახელმწიფო თეატრში დაიდგა პირველად მთლიანი მუსიკალური ნაწარმოები — მუსიკალურის დრამის სახით დაწერილი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე". მას ზედ მიჰყვება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", რომელიც ამა თებერვლის 21 იდგმის იმავე სახელმწიფო თეატრში.

რა თქმა უნდა, ეს ნაწარმოებნი შექმნილია არა ამ რვა თვის თავისუფლების ხანაში, არამედ ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო სხვა ერის ბატონობის უღელს ატარებდა.

მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ამ ოპერების დადგმა, ისიც ერთ სეზონში, ზედი-ზედ მიყოლებით, შესაძლებელი შეიქმნა—თავისთავად იმის მეტყველია, თუ რა ხელშემწყობი ყოფილა ეროვნულ ხელოვნების ამოძრავებისთვის ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლება, ესე იგი როდესაც ერს „თავისი თავი თვითვე ჰყავს".

მე დარწმუნებული ვარ, სხვა პირობებში მრავალი ხანი გაივლიდა, ვიდრე ეს ოპერები სცენას იხილავდა და ქართველი საზოგადოება მარტო იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომ დროგამოშვებით მოესმინა ესა თუ ის ნაწყვეტი ამ ოპერებისა; ისიც არა ნამდვილ არტისტთა მიერ აღსრულებული, არამედ სიმღერის მოყვარულთაგან განაწამები და რომლისამე კლუბის სცენაზე ნაცოდვილარი.

და რომ ქართულ შემოქმედებას მუსიკის სამთავროში შეუძლიან ბევრი საიდუმლო რამ უთხრას მსოფლიო ხელოვნებას,—ამის მაჩვენებელია თვით ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული ბუნება: მცხუნვარე მზე, ლურჯად ჩაღილავებული ცის კამარა, საოცნებო კაშკაშა მთვარე, ზურმუხტოვანი ველი, თოვლით ნაქვეთი მწვერვალნი, მქუხარე ჩანჩქერები, მოჭიკჭიკე ფრთოსანნი —ერთის სიტყვით ყოველივე ის, რაც შეადგენს სამხრეთის მშვენებას და სადაც ყველაფერი თითქოს თავისთავად მუსიკობს.

თუ არა ამით, მაშ რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქართველმა ხალხმა, შორეულ წარსულში, სადაც არავითარი შეცნობილი კანონი სიმღერისა არ არსებობდა, შექმნა ისეთი ჰანგები, რომელიც ხშირად თვით მცოდნე მუსიკოსებსაც კი აკვირვებს თავისი საკვირველის ხმაწყობილობით, და რომლებშიაც განხორციელებულია რთული მუსიკალური კანონები და ფორმები.

მერე რა მრავალფეროვანება, რა სხვადასხვაობაა ამ ჰანგთა წყობაში... შეადარეთ ერთმანეთს კახური დარბაისლური ხმაასაკიდებელი „მრავალჟამიერი", „ჩაკრულო", „სუფრული", „მაყრული", „მე რა კაცი ვარ", „შავი კაკაბი"—გურულ მკვირცხლ და მოძრავ „ალიფაშას", „ცხენოსნურს" „ფერხულს", — მეგრულ „კუჩხაბედნიერას", სვანურ „ლიღეს" და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენისთანა პატარა ერისათვის ასეთი დოვლათიანი და ცისარტყელასავით აფერადებული, ნამღვაწევი მეტისმეტად საპატიო და დიდი თამასუქი მისი მაღალი კულტურისა—წარსულში მაინც.—

მარტო ერთი „კუჩხა ბედნიერა" თავის განსაცვიფრებლის ხმაწყობილობით და რთულის ფორმით და „ნანინა"—თვისი მომხიბლავის სინარნარით, ლირიზმით—ცხოველმყოფელი ნიმუშია ჰარმონიულად ასხმულის ჰანგისა.

აიღეთ აგრეთვე შედარებისათვის ქართლ-კახური მოძახილი, რომელიც ხშირად დამოუკიდებელ მელოდიად გადაიქცევა ხოლმე და მოძრავი მოქნილ-მოქნილი გურული ბანი. ამას ზედ დაურთეთ სხვაგან არსად არ გაგონილი გურულივე კრიმანჭული, რომელიც ბევრ ცნობილ საკოლორატურიო ჰანგებს არ ჩამოუვარდება ფორმის სირთულით.—

—

და თუ აქამდის ქართულმა ინდივიდუალურმა შემოქმედებამ,—ამ მდიდარ ნაანდერძევის მიუხედავად,—მაინც ვერ შექმნა გრძნობა-გონების დამტყვევებელი ნაწარმოები,—ამის ბრალია ჩვენი ქვეყნის საერთო სიბეჩავე, პოლიტიკურ ვითარებით შექმნილი, რომელიც თითქმის ჩანასახშივე ჰკლავდა ყველაფერს, რასაც-კი ეროვნული იერი ჰქონდა.

ახლა-კი, როდესაც ხელოვნების პატრონ-მზრუნველი იქნება არა რომელიმე უსახსრო საზოგადოება, არა ვინმე კერძო მეცენატი, არამედ სახელმწიფო, თვისი სათანადო ორგანოთა სახით,—მე დარწმუნებული ვარ, სულ რამდენისამე წლის განმავლობაში მუსიკალური ხელოვნება ფრთას გაშლის და გაიფურჩქნება.

ამის თავმდებია ის, რაც ამ წლის დასაწყისში მოხდა და აგრეთვე საზოგადოების განსაკუთრებული გულისხმიერება ამ მრავალმეტყველ ფაქტებისადმი.

—

„შოთა რუსთაველისა" და „აბესალომ და ეთერის" სცენაზე ქართულად დადგმა ერთი-მეორის მიყოლებით თვალსაჩინო მოვლენაა არა მარტო იმით, რომ ერთბაშად, ორი კვირის განმავლობაში ორი ახალი ოპერა დაიბადა,—არამედ ეს ფაქტი მნიშვნელოვანია სხვა მხრითაც.

საქმე ის არის, რომ ეს ოპერები დასაწყისია ორი მთავარ მიმდინარეობისა, რომლითაც წარემართება ჩვენი ეროვნული მუსიკალური შემოქმედება თვით განვითარებაში.—

ქართული მუსიკის მთლიანი სახე ორის,—ერთი მეორისაგან განსხვავებულ,—ნაკვთისაგან შესდგება: ქალაქურისა და სოფლიურისაგან.

ქალაქური მელოდიის ერთი ნაწილი უპირატესად აღმოსავლეთურის იერისაა და განსაკუთრებით-კი სპარსული ჰანგებისა, უცვლელად ჩვენ მიერ მიღებული (ხევა, ჩარგა, შუსტარი, სხვა და სხვა მუხამბაზი, თასლიფი და სხვ. ამისთანა) მეორე ნაწილი ამ მელოდიისა,—სპარსულ—აღმოსავლეთურ მუსიკის ზეგავლენით და მიბაძვით არის შექმნილი თვით ქართველებისაგან, ჩემის აზრით, ამ უკანასკნელთა ციკლს ეკუთვნის შემდეგი ჰანგები: „სულო ბოროტო", „ბუნდოვან გულს", „ორთავ თვალის სინათლე", „მითხარ მითხარ", „თავო ჩემო ბედი არ გიწერია", „კოკობო ვარდო" და სხვ.—ამ დებულების დამამტკიცებელ საბუთად ის გარემოება მიმაჩნია, რომ ზემოხსენებულ ჰანგებს არც ერთ სპარსელ მომღერალის რეპერტუარში არ შეხვდებით, მაშინ როდესაც აღგილობრივი საზანდარი თითქმის ყველა მღერის ამ ჰანგებს.—ამას გარდა, ეს ჰანგები უფრო სადაა, საკანტილენო იერისა (ხმა გაშლილი) ნაკლებად ხმა გრეხილოვანი (საკაკანო) და ნაკლებად ეგზოტიური,—ვიდრე სპარსული ჰანგებია. ქალაქური მუსიკა მარტოოდენ ცალფა (სოლო) სიმღერებისაგან შესდგება.

მეორე ნაკვთი ჩვენის მუსიკისა—ხალხური—სოფლური ხმებია. ეს ჰანგები თავანკარა ეროვნული სიმღერებია, თვით ქართველი ერისაგან შექმნილი—და თვითეული მათგანი გამომხატველია ხალხის ზნე-ჩვეულებისა და მისი ყოფა ცხოვრებისა (მაყრული, მუშური, მრავალჟამიერი, ნადური, ხელხვავი, ცხენოსნური და სხვ.).

შესაძლებელია, დიდად შორეულ წარსულში, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ეს სიმღერები სხვა რომელისამე ერის მუსიკის ზეგავლენით იყოს შექმნილი, მაგრამ, ასეც რომ იყოს,—ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისეა შესისხლხორცებული ეს სიმღერები ქართველის სულსა და გულთან, მის ბუნებასთან, როგორც თვით ქართული ენა, რომელიც, დიდ გავლენას განიცდის სხვა ენებისას.

სოფლური სიმღერა — პირადებით ხორულია (გუნდის სიმღერა). აქედან მე ვიცი მხოლოდ ორი გამონაკლი ცალფა სიმღერისა—ურმული და ჰოროველა.

ზოგიერთ სპეციალისტის აზრით, შეუძლებელია ამ ხორულ სიმღერებიდან ცალფა მუსიკალურ ჰანგის შექმნა. მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ასე არ უნდა იყოს ყველა სიმღერის შესახებ, ვინაიდან ყოველ ხორულ სიმღერაში მოიპოვება ერთი მთლიანი მთავარი მელოდია, რომლის გადამუშავება ცალფა სასიმღერო ჰანგად მოსახერხებელია. რასაკვირველია, ეს დამოკიდებულია როგორც ხელოვანის უნარზე, ისე თვით სიმღერის ბუნებაზე.

ამის მაგალითი, სხვათა შორის, ზაქარია ფალიაშვილმაც გვიჩვენა. ხორული „მურმან-მურმან" მან დუეტად გადააკეთა (აბეს. და ეთ.—მე-5 მოქმ.) და მშვენიერი რამაც გამოვიდა ეს დუეტი.

„შოთა" და „აბესალომი" ნიშანდობლივი ნიმუშია ქართულ მუსიკის ზემოხსენებულის ორის ნაკადისა.

„შოთა ქართულ მუსიკის აღმოსავლეთური თარგია, ხოლო „აბესალომ" —იმავე მუსიკის ეროვნული თარგი.

რასაკვირველია, ერთშიაც და მეორეშიაც ხშირად შეხვდებით ორივე თარგის ნიმუშს. მაგალითად, შოთას შესანიშნავი რეჩიტატივი და თან მოყოლილი „სუფრული" წმინდა წყლის ხალხური ჰანგია. აგრეთვე მარიხის არია „აბესალომის" მეორე მოქმედებაში წმინდა წყლისავე აღმოსავლეთური ჰანგია.

ევროპიულ,—უფრო სწორედ რომ ვსთქვათ,—ეკლექტიურ მუსიკის ნიმუშებსაც ვხვდებით ამ ოპერებში, განსაკუთრებით „აბესალომში".— მთელი ბელიარ-ეშმაკის პარტია ეკლექტიური მუსიკაა.

„შოთა" თბილისის გაზეთების რეცენზენტებმა სათანადოდ დააფასეს. ამიტომ აქ ვრცლად არ შევეხები მას, რათა გამეორება არ გამოვიდეს უკვე თქმულისა, მით უფრო, რომ შემთხვევა არა მქონდა ზედმიწევნით გავცნობოდი მის მუსიკალურ შინაარს. აღვნიშნავ მხოლოდ ზოგად შთაბეჭდილებას. ბ-ნი არაყიშვილი დიდი ტექნიკოსია ორკესტრისა და მისი თვითეული ინსტრუმენტალური კალმის მოსმა ნიჭიერების მადლით და ხელოვანის უნარით არის მოსილი. ვოკალური მხარე შედარებით უფრო დაბლა სდგა ინსტრუმენტალურთან და, თუ არა ვცდები, მისი შემოქმედება უფრო სიმფონიურ მუსიკის წრიაში ჰპოვებს თავისს ნამდვილ სახეს, ვიდრე ვოკალურში.

სხვათა შორის, აღვნიშნავ, რომ „შოთაში" ხელოვნურად არის გამოყენებული ვოკალური თემა „სულო ბოროტოსი" (ნინოს არიოზო მეორე მოქმედება) „კოკობო ვარდოსი"—(გულჩინა) „ეტავ ეხლა მქნა ფრინველი ჩიტი" (აბდულ-არაბი) ამ ჰანგებში ნამდვილი ეგზოტიური სული ფეთქავს.

—

„აბესალომ და ეთერი" ხალხური თქმულებაა.

მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

აბესალომ—მეფის ძეს შეუყვარდება დევინაცვლისაგან განაწამები ობოლი ეთერი, რომელსაც შემთხვევით ნადირობის დროს ტყეში შეხვდება. ცოლად დაისვამს. იგივე ეთერი შეუყვარდება აბესალომის ვეზირს—მურმანს. ეს სიყვარული იმდენად ძლიერია და დემონიური, რომ გულისთქმის განსახორციელებლად მურმანი—თავის და თავისი დედის სულს ბელიარ ეშმაკს მიჰყიდის. ბელიარი მას სანაცვლოდ მაჯუნს (წამალი) მისცემს. ამ წამლისაგან ეთერი დაავადმყოფდება, დაჰკნება, დაჰკარგავს ელფერს და სილამაზეს, რისგამოც აბესალომი მას მოიშორებს. ეთერს მურმანი შეირთავს, მურმანის ხელში ეთერი კვლავ გამოკეთდება. აბესალომი კი, ეთერს მოშორებული,—ჯავრისაგან დაზიანდება და ბოლოს კვდება. ეთერიც თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოეთის ამბები
### ჟურნალ-გაზეთებიდან

**წვრილებითი ცნობა ლიბკნეხტის სიკვდილზე.**

ლიბკნეხტი ჯერ ბერლინის ხანა-ში შეიპყრეს. იმ დროს, როცა ლიბკნეხტი ჯდებოდა ავტომობილში მოაბიტის ციხეში წასაყვანად, ვინ-გამოვარდა ბრბოდან და თავში ჰკრა. პირისახე სისხლმა შეღება. შოფერმა ავტომობილი გააქანა, მაგ-სიჩქარის გამო ტირგარტენში მანქანა გაფუჭდა. მერე როცა ტყეში მიჰყავდათ, მან გაქცევა დააპირა. ჯარისკაცები წვივრილით შეეცადნენ გა-ეჩერებინათ, შემდეგ სროლა აუტეხეს და ლიბკნეხტი განგმირული დაეცა.

**როზა ლუქსენბურგის სიკვდილი.**

ბრბომ შეაჩერა ავტომობილი რო-მელშიც როზა ლუქსემბურგი იჯდა. მოტორი დაჰყენა, მაშინ ბრბოდან ვიღაცამ ესროლა და მოჰკლა, დანარჩე-ნი კი გაჰქრნენ წყვდიადში. ამის გა-მო როზა ლუქსემბურგის საყარაუ-ლო ოფიცერი გადააყენეს.

**სტამბოლის ხურხათი.**

როცა ფრანგებმა და ინგლისელებმა დაიპყრეს სტამბოლი, მას შემდეგ სა-სურსათო საქმე მოკეთდა. დიდი სამ-სახური გაუწია ამ საქმეში ამერიკის წითელ ჯვრის საზოგადოებამ.

**რუსის ბოლშევიკები ბილბაოში.**

ისპანიაში ფრთხილად ეპყრობიან ბოლშევიკების მისვლას. უბრალო საქმაოა დატუსაღების ან გა-სახლებისთვის ბევრი რუსი ბოლშევიკი ბილბაუში დაიჭირეს.

**პრუსიის სახელმწიფო დინასტიის ქონება.**

როგორც ამსტერდამიდან იტყო-ბინებიან პრუსიის სახელმწიფო დი-ნასტიის ქონების კონფისკაცია მი-ლიარდ ფრანკს უდრის.

**საფრანგეთის ესკადრა ბალტიის ზღვაზე.**

კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობით ბალტიის ზღვასთან მისულა ფრანგუ-ლი ესკადრა ერთ ბრონიროვანის და კრეისერის შემადგენლობით.

## დეპეშები
(საქ. დეპ. სააგენტო).

### რეიტერის სააგენტოს ცნობები.

**საბერძნეთის საკითხი**

პარიზელ კორესპონდენტის ცნობით დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებ-მა მოისმინეს რა ვენიზელოსის მოხხენება. დაადგინეს საბერძნეთის საკითხი გადასცენ კომისიას, რომელშიც შევა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ორ-ორი წარმომადგენელი.

**რუმინიის მოთხოვნილებანი**

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა აირჩიეს კომისია, რომელიც განიხილავს რუმინიის მოთხოვნილებებს.

**ჩეხ-პოლონელთა კონფლიქტი**

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ითათბირეს ტეშენში(?) ჩეხებსა და პოლონელებს შორის კონფლიქტზე, რომელიც შექმნა იმ მდგომარეობამ, რომ ის რაიონები სადაც ქვანახშირის მადაროებია და გადის რკინის გზა ტეშენსა და გბლუდკავს შუა, ჩეხელთ უჭირავთ. წარმომადგენლებმა დაადგინეს: მოაგონებენ იმ ერებს, რომელთაც საზავო კონფერენციაზე შემოაქვთ ტერიტორიალური საკითხი, რომ მათ კონფერენციის გადაწყვეტამდე არ უნდა დაიჭირონ ტერიტორია, რომლის დაჭერაც სურთ. წარმომადგენლები ადგილობრივ კომისიას გზავნიან.

## გერმანული პრესა.

**გერმანიის დამფ. კრების წევრ ქალთა მოთხოვნილება.**

გერმანიის დამფუძნებელ კრების წევრ ქალებმა გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც მოითხოვენ დაუყონებლივ შესწყვიტონ შიმშილის ბლოკადა და დააბრუნონ სამშობლოში გერმანული სამხედრო ტყვეები.

**გერმანელებთან შეერთების რეზოლუცია**

ზალცბურგის ლანდტაგმა ერთხმად მიიღო გერმანიასთან შეერთების რეზოლუცია.

**ვიზელი.**

ავგუსტ მიულერის გადადგომის გამო სახალხო ქონების მინისტრის ადგილი დაიჭირა სახალხო რწმუნებულმა ვიზელმა.

**ერცბერგის პროტესტი.**

დროებით ზავის კომისიამ მოლაპარაკების დროს, დროებითი ზავის ვადის გაგრძელების შესახებ, ერცბერგმა სხვათა შორის სთქვა: დროებითი ზავის გაგრძელებას მიზნად აქვს ზავის გადიდება. ამ დროს, როცა გერმანია დიდ მსხვერპლს იღებს, მოკავშირეთა მთავრობები არ სცდილობენ ზავის ჩამოგდებას. 11 თებერვლამდე გერმანიამ გადასცა მოკავშირეებს 4137 ორთქლმავალი და 136500 ვაგონი, დემობილიზაციის შემდეგ გერმანიას ყავს მხოლოდ 200 ათასი ჯარისკაცი. შემდეგ ერცბერგმა პროტესტი განაცხადა, იმის გამო, რომ ელზასლორენში ყველაფერ გერმანულს სდევნიან.

**რეინ-ვესტფალიის ოლქში.**

რეინ-ვესტფალიის სამრეწველო ოლქში მუშებსა და მთავრობის ჯარს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ფიქრობენ; რომ თუ გადამწყვეტი ზომები არ მიიღეს, შეტაკება აუცილებელია.

**მუშ. და ჯ. კ-თა საბჭოების აღდგ. მოთხოვნა.**

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების საოლქო კონფერენციამ ესენში მოითხოვა მთავრობისაგან მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღდგენა, ოფიცრების და გენერლების პასუხისგებაში მიცემა და მთავრობის ჯარის გაყვანა იმ ადგილებიდან, რომელიც უჭირავს მე-7 საარმიო კორპუსს. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო გაფიცვით იმუქრებიან. ორი ოფიცერი მძევლად ჰყავთ.

**მთავრობის ჯარის გამარჯვება.**

მთავრობის ჯარის დორტმუნდში შესვლისას გაიმართა ბრძოლა კომუნისტებთან. მთავრობის ჯარმა გაიმარჯვა. გერზენკირხენში სპარტაკელებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება.

## ინგლისური პრესა
### ხალხთა ლიგის პირობათა ტექსტი.

გამოაქვეყნეს ხალხთა ლიგის პირობათა ტექსტი. ლიგის ყველა წევრები იმოქმედებენ თავის წარმომადგენლების საშუალებით, რომელნიც დანიშნულ ვადაზე შეიკრიბებიან, და აგრეთვე აღმასრულებელ საბჭოსი და მუდმივ საერთაშორისო სეკრეტარიატის საშუალებით. აღმასრულებელ საბჭოში შევლენ შეერთებულ შტატების, ბრიტანიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და 4 სხვა სახელმწიფოს დელეგატები.

საბჭო გამოაქვეყნებს წინადადებას შეიარაღების და სამხედრო მასალის და ამუნიციის დამზადების შემცირების შესახებ. შესდგება მუდმივი კომისია, რომელიც ლიგას ხელმძღვანელობას გაუწევს სამხედრო და საზღვაო საკითხებში. ლიგის წევრი—სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური ხელშეუვალობა. ლიგაში შესულ სახელმწიფოებს არ შეუძლია ომის დაწყება, ვიდრე დავის საგანი არბიტრაჟს ან აღმასრულებელ საბჭოს არ გადაეცემა გასარჩევად და მხოლოდ 3 თვის შემდეგ შეუძლია სამხედრო მოქმედების დაწყება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ შეუძლია ომი გამოუცხადოს ლიგის წევრ სახელმწიფოს, თუ კი ის ლიგის დადგენილებას დაემორჩილება. შეიქმნება მუდმივი საერთაშორისო სამსაჯვრო ომის გამოსარკვევად თუ რომელი საკითხი უნდა გადაეცეს არბიტრაჟს. საბჭომ უნდა გამოარკვიოს ლიგის რომელმა წევრმა რამდენი სამხედრო და საზღვაო ძალა უნდა გამოყოს ხალხთა ლიგის პირობათა დასაცავათ. რაც შეეხება ახალშენებს და იმ ქვეყნებს რომელთაც სხვა სახელმწიფოები ფლობდენ მსოფლიო ომამდე და რომელთაც ჯერ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა, მათ მიმართ უნდა გამოყენებულ იქნეს ის პრინციპები რომლის ძალითაც ასეთი ერების განვითარება და უზრუნველყოფა შეადგენს ცივილიზაციის უწმიდეს მიზანს. ამას უნდა მიაღწიოს ხალხთა ლიგამ. ამ ქვეყნების თანდათანობითი კონსტიტუციონალური განვითარება უნდა მიენდოს მოწინავე ერებს, რაც უნდა ხდებოდეს თანახმად ლიგის ინსტრუქციებისაგან რომელიც დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ რამდენათაა განვითარებული ესა თუ ის ხალხი. ოსმალეთის იმპერიის ზოგიერთი ყოფილი ოლქი იმდენათ განვითარებულია, რომ მათი დამოუკიდებლობა შეიძლება იქნეს ცნობილი იმ პირობით, რომ მათ საადმინისტრაციო დახმარებას აღმოუჩენენ, ვიდრე ისინი შესძლებდენ სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყობას. სხვა ერები, როგორც მაგალითად ცენტრალ აფრიკის ერები, ჯერ იმდენათ განვითარებულნი არიან, რომ რწმუნებულებმა თავის თავზე უნდა აიღონ ტერიტორიის მართვის პასუხისმგებლობა. რწმუნებულებმა ყოველ წლიურად ლიგას უნდა წარუდგინონ მოხსენება მათდამი რწმუნებულ ტერიტორიის მართვის შესახებ. დაარსდება რწმუნებულთა კომისია, რომელიც მიიღებს და განიხილავს წარმოდგენილ მოხსენებებს. ლიგაში შესული სახელმწიფონი ეცდებიან დაამყარონ და დაიცვან სამართლიანი შრომის პირობები ქალებსა და ბავშვებთათვის, როგორც საკუთარ, ისე სხვა ქვეყნებში.

**რუმინია და ტრანსილვანია**

დ—რ ფლონდერი და რუმინიის მთავრობის მისიის წევრი კაპიტანი რადუ ბერნში ჩავიდენ. მათი ცნობით ტრანსილვანიაში აღდგენილია ნორმალური ცხოვრების პირობები და უკვე შეუდგენ მუშაობას. რუმინიაში მდგომარეობა უფრო ცუდია. მეორე მხრით სერიოზული დაბრკოლებანია ჰუნგრეთის მთავრობის მხრით რომელიც ლიბერალობას სჩემობს, მაგრამ ისეთივე რეაქციონურია, როგორც მისი წინაპრები. ის ყოველ საშუალებას ხმარობს აწყენინოს რუმინიას, ჩეხო-სლოვაკიას და სამხრეთ სლოვიანთა მთავრობებს. შვეიცარიაში ცრუ ხმებს ავრცელებენ, ვითომ ტრანსილვანიაში საერთო გაფიცვებია. რუმინიის ჯარი წარმოუდგენელ მხეცობას სჩადიოდეს და დაეჭირით სამღვდელოება. ეს ხმები ყალბია, რასაც დაამოწმებენ ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის მისიის აფიცრები.

**ხალხთა ლიგა და ამერიკის სამღვდელოება**

ხალხთა ლიგის დაარსების გამო ამერიკის ეკლესიებში და სინაგოგებში სიტყვები წარმოსთქვეს.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი**, თებ. 18. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

**რიგა**, თებ. 16. რიგის რკინის გზის მუშები ორგანიზაციულად შეკავშირდენ. ყოველ სადგურზე კომიტეტი დაარსეს, რომელიც კონტროლს გაუწევს რკინის გზის მთავარ სამმართველოების განკარგულებებს.

**კიევი**, თებ. 16. ვოლინის და პოდოლის გუბერნ. გლეხები დირექტორიის წინააღმდეგ აჯანყდენ და მოითხოვეს საბჭოთა მთავრობის აღდგენა. შესდგა რაზმები საბჭოთა მთავრობის დასახმარებლად. დირექტორია გალიციაში გასაქცევად ემზადება.

**დრ. ზავის გაგრძელების პირობები**

მარშალ ფოშმა გერმანიის დელეგატებს აუწყა დროებითი ზავის გაგრძელების პირობები, რომელიც თებერვლის 17-დან შევა ძალაში: გერმანულ ჯარებს ეკრძალებათ პოზნანის პროვინციის საზღვრის გადალახვა. ფოშმა არ შეიწყნარა გერმანიის შუამდგომლობა, რომ მათ 24 საათი მისცემოდათ პასუხის წარმოსადგენათ.

**ხალხთა ლიგის კამათის გადადება**

ვილსონმა დეპეშით სთხოვა ამერიკის კონგრესის საგარეო საქმეთა კომისიას გადაიდოს კამათი ხალხთა ლიგის შესახებ, იმ დრომდე, სანამ ის შესძლებს ლიგის ხელშეკრულების ყოველი მუხლის განმარტებას.

**საჰაერო მიმოსვლისთვის**

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ განზრახულია ქაირსა და კალკუტას შუა გაზაფხულზე ყოველკვირეული საჰაერო მიმოსვლა მოეწყოს. საჰაერო გზა მომავალში ასეთი იქნება: კრეიდონი—ბრიუსლი—კელნი—მოსკოვი—კასპიის ზღვა—კონდაგარი—მულტანი.

**„კასტილია“-ს დაღუპვა**

ინგლისის გემი „კასტილია“, რომელიც ბომბეიდან ინგლისში მოდიოდა დიდი ღელვის გამო სუეცის არხში დაიღუპა. სხვა ცნობები ამის შესახებ ჯერ არ მოსულა.

**მეზღვაურები და ეროვნული დელეგაცია**

კაპშტადტიდან იუწყებიან, რომ გემი „დურგამ კასტლ“-ის მეზღვაურებმა უარი სთქვეს ეროვნულ დელეგაციის ევროპაში წაყვანაზე. გემმა დეპუტაცია არ წამოიყვანა და ისე წამოვიდა.

**ალენბი**

თებერვლის 7 სტამბოლში ჩავიდა ალენბი, რომელიც პატივისცემით მიიღეს. ალენბი მეორე დღეს პალესტინაში წავიდა.

**მოსკოვი. კიევი**, თებ. 12. სტანისლავოვიდან ჩამოვიდა პოლონეთის წითელი ჯვრის დელეგაცია, ტყვე პოლონელების დასათვალიერებლად. ამავე მიზნით გაემგზავრა უკრაინის დელეგაცია.

**მინსკი**. თებ. 12. ლიტვის საბჭოთა დროებით სარევოლიუციო მთავრობამ და ბელორუსიის საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა პოლონეთის მთავრობას საპროტესტო ნოტა გაუგზავნეს გროდნის გუბერნიაში პოლონეთის ჯარის შემოჭრის გამო და წინადადება მისცეს წარმომადგენლები გამოგზავნონ შერეულ კომისიაში ამ 3 რესპუბლიკის საზღვრების დასამყარებლად.

**ბერლინი**, თებ. 11. სპარტაკელთა გავლენა გერმანიის მუშებზე და ჯარის კაცებზე იზრდება. მოელიან ახალ შეიარაღებულ გამოსვლებს. მთავრობის წრეები და ბურჟუაზიული პრესა შიშობს მოძრაობის გაძლიერების გამო და ადიდებს მთავრობის ჯარის რიცხვს.

## ფრანგული პრესა

საფრანგეთის გაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ვოლენის კლუბში მიიღო ამერიკის სასურსათო მინისტრი ხუვერი, რომელმაც თავის მგრძნობიარე სიტყვაში სთქვა, რომ საფრანგეთის დაპყრობილ ოლქებში გერმანელები ცუდად იქცეოდნენ, მცხოვრებთ საქონელს და ჰირნახულს ართმევდნენ და ქალებსა და ბავშვებს საჭმელი არ მოეპოვებოდათ. გერმანელების მხრით მონანიება არა სჩანს და ათასი წლის განმავლობაში 70 მილიონმა გერმანელმა რომ ღვარონ ნიობეის ცრემლები, მაინც ვერ დაფარავენ იმ უბედურების კვალს, რომელიც ბელგიაში მოახდინეს. დასასრულ ხუვერმა განაცხადა, რომ გერმანელებმა ნადენილი

---

ვს იმ ოქროს დანით, რომელიც ალომმა სიყვარულის საწინდრად ა.

მულება ამბობს, რომ აბესალომის ეთერის საფლავზე ორი ვარდი იდაო, მაგრამ მათ შუა ეკალი ცენდა და უშლიდა ამ ვარდებს თებასაო. ის ორი ვარდი აბესა-მის და ეთერის სული იყო, ხოლო ი—მურმანისაო.

ლეგენდის ქარტაზე ბ-ნმა პეტრე იანაშვილმა ამოჰკერა 5 მოქმედე-ის და 6 სურათიანი ლიბრეტო სა-ო დრამისა.

ოდვა გამღავნებული სჯობია და ომ ვულახდილად უნდა ვსთქვა, აბესალომ და ეთერის სიყვარუ პოემა,—ბ-ნ პეტრე მირიანა-ის მიერ გადმოცემული,—ჰკარ თვის ბაეროვნებას და ლი. ადგილ-ადგილ სიტყვა-ნი მეტის-მეტად არქაიულია, ქი და მძიმე. მაგრამ რას ? ასეთია საერთოდ ყველგან ზე-ოპერების ლიბრეტოებისა. ნამდვი-პოეტურ ნიჭით დაჯილდოვებული ალი იშვიათად ჰკიდებს ხელს ეტოს შედგენას, რადგანაც სხო-დრამის ვიწრო ფარგალი მას აკმაყოფილებს.

ხოლოდ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანი არა იმდენად ლიბ-, რამდენადაც თვით მუსიკა, ელიც ქვაკუთხედია მუსიკალური მისა.

ბ-ნ ფალიაშვილის ნაწარმოები დი-განძია ჩვენი ხელოვნების სალა-თვის. ამასთანავე იგი დიდად სა-ერესოა საერთოდ ზოგად მუსიკა-ის ხელოვნების თვალსაზრისით, განაც გამოხატავს ამ ხელოვნე-თვის სრულიად უცნობ ხასეს.

ამის აზრით, ბ-ნ ფალიაშვილის მუ- ხასიათი ლირიულ სიუჟეტის ამის ფარგალს სცილდება და თვი-ძლიერის ხმოვანებით, ტერმინთა ასით და მრავალ-ფეროვანობით რთულის ჰარმონიზაციით ეპიურ მატიულ მოქმედებას უფრო შე-ება.

არც გასაკვირველია ეს მოვლენა. იმდენი მუსიკალური გულისთქმანია დაგროვილი ჩვენს ხალხში და ბ-ნ ფალიაშვილს ისე ხელმიწვდომით აქვს შესწავლილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები,—რომ პირველ ოპერის შექმნის დროს—იგი მარტოოდენ ინტიმიურ, ლირიულ გრძნობათა დასურათებით ვერ დაკმაყოფილდებოდა.

სწორედ ამ მიზეზით, ბუნებრივად, შეიძლება თვის სურვილის საწინააღმდეგოდაც,—მან შექმნა ისეთი მუსიკალური დრამა, რომელშიაც მთავარი სიუჟეტი—აბესალომ და ეთერის სიყვარული—თითქოს მიიბინდა—და წინ ხაზზე წარმოსდგა ის, რაც უნდა ყოფილიყო მხოლოდ გარემო ამ ლირიულ პოემისა.

მოკლედ და უფრო მკაფიოდ რომ გამოვსთქვა ჩემი აზრი—ვიტყვი, რომ ფალიაშვილის თხზულება მოგვითხრობს უფრო ეპოსის გმირთა ბუმბერაზობას, ვიდრე მოსიყვარულე გულთა ტანჯვავაებას.

(დასასრული იქნება)

ინენი.

## ტრფობა წამებული
(ისტორიული რომანი)

5.

— რად აძახებენ ყვირო სტვირს, რას აცხადებენ?

— არ ვიცი! აბა გაიქე, ბიჭო, გაიგე, შეგვატყობინე.

— აგერ ციხისკენაც დაუკრეს ბუკი. ალბად ამბავი რამ მოხდა.

წამოიშალა ხალხი. ჩოჩქოლი ჩავარდა. წაესწრაფნენ. შეგროვდნენ, შეჯგუფდნენ იმრგვლივ. შულტმა შეაჩერებინა საყვირი. ხმა აიმაღლა.

— ხალხო და ჯამაათნო!

— სმენა იყოს, სმენა!

— ხალხო და ჯამაათო! ესე ბრძანა მეფე აშოტმა,—ღმერთმა კვლავ ადიდოს სახელი მისი,—ეხლავე შეკარით თქვენი ბარგი, მოემზადენით მსწრაფლ წასასვლელად. დედოფალიც, ბატონიშვილ ებიც თქვენთან წამოვლენ. გზი მაჩვენებლებს და მოწესეებს მოვიჩემებენ. დაალეხეთ ხმალები, შენაყრდით, აღკაზმეთ, შეაბით! ვისაც იარაღის ხმარება შეუძლიან, აქვე უნდა დარჩეს ალაგობრივ. დაძრულ ხალხს ცალკე რაზმს მიუჩენებს ბატონი. დაიმალენით, მიაშურეთ ბინებს!

— ალბად უკან მოგვდევს მტერი, რომ ესეთი მკაცრი ბრძანება გამოსცა მეფემ. აბა, მარდად მოემზადენით! ყველაფერი ჩაბარგეთ. მე ხარებს მოვლალავ.

— ცოტა დაალოდეთ! მოძოვონ, გაძღნენ.

— კარგი! მაინც კი არა უშავთ-რა: თივა გვაქვს ურემზედ.

— დადგით საჯი, დაალეხეთ ლავაშები! მოყვარეებთან ერთად შეამზადეთ ყველაფერი; ერთად იმგზავრებთ.

— დავეტევით ერთ ურემზე? ორი ოჯახის ბარგი როგორ უნდა დავუდოთ?

— გადაყარეთ, რაც მეტია! მაშ უვაჟკაცო ქალებს მარტოდ მარტო ხომ არ გაუშვებთ გზაზედ. ფეხით აჰყვებით ურემს. რიგ-რიგად დაუჯდებით ან შესხდებით იმათ ცხენზედ. ჩვენი ცხენი მე თითონ დამჭირდება აქ.

— შენ აქა რჩები? ჩვენ მარტონი უნდა წავიდეთ?!

— მარტონი რად იქნებით, ამოდენა ხალხი მოდის თქვენთან. მე აქ უნდა დავრჩე: ომი მოგველის, უთხრა გიორგიმ თავისიანებს.

და გაემართა მეზობლად დაბინავებულ უვაჟკაცო ოჯახისაკენ, სადაც ჰყავნდა თავისი დანიშნული ხათუთა. ქალის დედა თვალცრემლიანი შეხვდა სასიძოს.

— დავიღუპებით! როგორ უნდა ვიაროთ უვაჟკაცოდ, ურმოდ?! ნეტავი იქვე ჩავხოცილიყავით, გზათა უკან წანწალს.

დედა რომ შესჩიოდა ახალგაზრდას, ქალი ამოჰფარვოდა ბარგს და უსასოქმნილი თვალები მიეპყრო საქმროსათვის. საცოლოს ნახვამ გული გაუღო ჭაბუკს; მისმა უიმედო მზერამ ძალა გაუორკეცა. მხნედ მიჰმართა მან ქალებს:

— ნუ სწუხართ, ნუ გეფიქრებათ! ჩვენები და თქვენ ეხლა ერთად იმგზავრებთ. ურემი გვაქვს, თქვენი ცხენიც გამოაბით ურემს და ღმერთი ახსენეთ. ბარგი ერთად დააწყეთ. ერთმანეთს ალარ მოშორდეთ. აბა შეუდექით სამზადისს ჩვენებთან ერთად. იმათაც ნათქვამი აქვსთ ჩემგან. მეც გიშველით, ჩაგაბარგებთ, გაგამგზავრებთ.

— შენ თითონა?! გაეხარდა ქალს და სირცხვილის ალმა აჰკრა, რომ სიტყვა სთქვა დედის წინ, თავისი გრძნობა გამოამჟღავნა.

— გაგისტუმრებთ, მე კი აქ დავრჩები. ნუ გეფიქრებათ: აშოტი ისევ თავს დაგვტრიალებს და ხომ იცით, როგორი გამჭრიახია და სვევსვიანი. დაგვიხსნის განსაცდელისაგან, შეანანებს მტერს თავხედობას.

უნდოდა კიდევ სანუგეშო რამ დაერთო ან სასიამო, მაგრამ ვერ გაბედა: წესი არ იყო დანიშნულთან მეტი ეთქვა ან მიახლოვებოდა მას ალერსით თუნდაც ამისთანა გაჭირების დროს.

მთელ ბანაკში მსწრაფლ შეიქმნა ღელვა, მოძრაობა. ერთხანს თითქო აირია ხალხი. მიდმოდიოდნენ, ჩქარობდენ, დარბოდენ; გაისმოდა ყაყანი, ბასი, ყვირილი, გაძახილი; ლანძღვა თუ წყევა. მალე დალაგდა ყველაფერი. არ გაუვლია ბევრ ჟამს, რომ ხალხი დადგა ბარალეთისაკენ გადასავალ გზას. ბანაკი დასტოვა მოხუცმა თუ ავადმყოფმა, ქალმა თუ ბალღმა. რიგზედ მიემგზავრებოდენ და წესიერად. თითონ აშოტი ჰხელმძღვანელებდა წასვლის წესს: ცხენდაცხენ დადიოდა ერთი ჯგუფიდან მეორეში, ბრძანებას აძლევდა, მოთავეებს უწესებდა, დამხმარე რაზმს აწველებდა. როცა მეფე ესე მხნედ ნახეს, მისმა თანამშრომლებმაც ერთი ათად გააძლიერეს მუშაობა; ხელი აუპყრეს ყველას, დაჰპირდნენ, დაიმედეს. მეფის სახლობათან მისდევდა მიმავალთ. მათი ეტლები და ბარგის მზიდავი ჭუნენი შუაში იყო ჩაყენებული. ეს უფრო იმედს აძლევდა ლტოლვილებს: იმისი თავდები იყო ეს, რომ მეფე და მისი ჯარი ყოველ ღონისძიებას იხმარებდენ მათ გადასარჩენად. უმწეოდ და უწესოდ არ გაისტუმრეს ხალხი: ურმები ალალალად დაჰყვეს და თითო ალაგს მცირე რაზმი მიუჩინეს შეიარაღებული მეწესედ თუ მეშველად. ჩაბარგება-გამგზავრებას მაინც კარგა ხანი მოუნდნენ: მზე გადიხარა.

მიდიოდა ხალხი. აღმინა შეღმართს. აშოტი იდგა უძრავად ხელდაკრებილი. თვალს ვერ აშორებდა თავის ერს განწირულს. ის ხომ ოცნებობდა მთლად უზრუნველ ეყო მეშვეობით მტერთაგან, რომ თვითეულ მათგანს ეცხოვრნა მშვიდად და ბედნიერად თავის კერაზედ, თავის ეზოში, თვის ხეხილთ ჩრდილში. გაუცრუვდა ჭრელი ოცნება შეუქრო იმედი. მის სულში აწ სცილდებოდა ერთ სამშობლო მხარეს წინაპართა სისხლით შეღებილ, პოხილს. გზად მიდის აგერ, ვით ისრაილი მძლავრად დევნილი. მოაგონდა თქმა:

— და განგაგდო შენ და მშობელი შენი ქვეყანად სხვად, ქვეყანადმი, რომელსა არა იშვენით!

დაჩვილდა მძიმე სანახაობით გული მეფისა; მოლბა იგი ხალხი სიბრალულით, ვით ცვილი რამე ცეცხლის წინაშე. გრძნობათ სილბო ცხელ ცრემლად გადმოდუღდა გმირის თვალთაგან, ვით ტყვია მდნარი. და არა სცხვენოდა ვაჟკაცს ამ ცრემლებისა, არა მალავდა მონადენ ღვარებს.

— ცრემლი მეფისა მსხვერპლია ყოვლად ძლიერის წინაშე.

— მწუხარსა განისვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან.

— ჰყავნ! იყავნ!

მძლავრად შეინძრა გმირი აშოტი. მის თვალთაგან ნაკვესმა ცეცხლმა გააშრო კვალიც ცრემლისა.

დამაშვრალიყვნენ მოქმედნი, გარნა ეს დაქანცვა მხოლოდ სხეულის დაღლილობა იყო, სულ კი უფრო შემმართებელი შექმნოდათ, გული იმედიანი. რახან აშოტმა უკუაგდო მარცხისაგან გამოწვეული უიმედობა, ისევ ჰპოვა ჩვეულებრივი თვისი მხნეობა საესავს, გამოიცვალა სულიც მისი თანამშრომლების: დააჩნდათ მათ მძლავრი სურვილი შემართებისა უნარი მოქმედებისა. განფანტა სასიკეთო ცვლილებამ ბუნდი გრძნობები ბნელის იზიდავი.

— ეხლა სულ სხვა არის! მტერი თუნდ მოგვეწვდეს, ბევრს ვერას გვავნებს, ვერას წაიღებს.

— გული გულის ალაგას მაქვს ეხლა: უმწეო დედა-წული თუ მოხუცავადმყოფი სამშვიდობოს გადასვლას მოასწრობს, ბრძოლის დროსაც უაზრო შიშს და ღრეჭას არავინ შემოიტანს და ადვილად განვავითარებთ მსწრაფლმოქმედების უნარს, საქმიანობას.

— მეც დავწყნარდი. მთელი ჩემი სასოება აშოტზედ დავამყარე. რახან გამოერკვა თავს და პირი ხალხისაკენ ჰქნა, ღმერთიც ჩვენკენ იზამს თვის პირს მოწყალეს; ბევრჯერ ყოფილა ბატონი განსაცდელში, მაგრამ მამაცურად გაუკაფავს გზა ვიწრო, გარდაუვალი.

გატეხილიყო ღამე. ბატონ აშოტს დაღლილობა დასტყობოდა, მისი დაუშრომლად მომქმედი ჯარი დასვენებას თხოულობდა თუნდაც წამიერს. რამდენი დღე იყო მის თვალს სიტკბოს მომტანი ძილი არ მიეკარებოდა. თუ წასთვლემდა, მაინც შფოთავდა. მოსვენებას არ აძლევდა ზმანება ბნელი; სინამდვილე იმ შავ სურათს ამრავლებდა, აძლიერებდა. საკვირველად მოშვებულიყო იმ დროს მისი ნების ყოფა უტეხი; გონების თვალი ბეჩავ სურათებს უსახავდა საბედისწეროს; ფოლად გულში ჩაპნეულიყო კრთომის რამ თესლი. ეხლა სხვა იყო: გაემტკიცებინა მეფეს ძალა მოქმედებისა და განემხნევა; ამოეფხვრა ღვარძლი ერთობისა გრძნობის არედან; დასწყნარებოდა ფიქრი სამფლობელო, გარდაშლილიყო, მოუნ იმედი, ვარდი მდიმარე.

— ვსჭამოთ მცირედი. თვალს წავატყუებ: დაღლილად ვგრძნობ თავს.

გაშალეს. მიირთვეს. დალიეს. ბატონი შებრძანდა მოსასვენებლად. ბარძიმი წამს შეყოყმანდა; უნდოდა რამე მოეხსენებინა, გადაიფიქრა. გამოტრიალდა ფეხაკრებით.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტება უნდა გამოასწორონ და ბელგიიდან და ჩრდილოეთ-საფრანგეთიდან გაყვანილ საქონლის ღირებულება აანაზღაურონ. საკმარისი არ არის ფულის გადახდა, რადგან მარტო ფულით ვერ გამოკვებთ ბავშვებს.

## ახალ სომხეთის საზღვრები

ამ სათაურით სტამბოლის ფრანგულ გაზეთ „რენესანში" 23 იანვრის თარიღით დაიბეჭდა წერილი. ეს წერილი ინგლისურ გაზეთ „ტაიმს"-ის სტამბოლელმა კორესპონდენტმა ლონდონში გადასცა და თავის მხრით ის დასძინა, რომ ამ წერილში გამოთქმული აზრები ეთანხმება სრულიად სომხეთის კათალიკოზის რწმუნებულის პოღოს ფაშას აზრს, რომელიც ითვლება სომხეთის წარმომადგენელად პარიზის საზავო კონფერენციაზე და რომელმაც პირადათ მე დამარწმუნა ამაში.

წერილი ეხება იმ საკითხს, თუ როგორ და რომელ საზღვრებში უნდა მოეწყოს ახალი სომხეთი. „ზაკავკაზსკოე სლოვო"-მ გადაბეჭდა ეს წერილი, მაგრამ გამოტოვა სწორედ ის ადგილი, რომელიც ეხება სომხეთ-საქართველოს საზღვრებს.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ეს გამოტოვებული ადგილი ხსენებულ წერილისა აქვე მოვიყვანოთ. აი ის ადგილიც:

„რაც შეეხება საზღვრებს, უკეთუ დელეგაციის წინადადება იქნება მოწონებული, ახალი სომხეთი, რომელშიაც მოექცევა რუსული სომხეთი, ოსმალეთის 6 ვილაეტი და კილიკია, ე. ი. მცირე სომხეთი გაჭიმული იქნება შავი ზღვიდან ხმელთა შუა ზღვამდე. შავ ზღვაზე მდებარე სამსუნი თავის თავად ცხადია, დარჩება ოსმალეთს თავისი შინაგანი წესწყობილებით და აგრეთვე ანატოლიაც, ამ პუნქტიდან ზღვის ნაპირი ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტამდე შეადგენს სომხეთის სანაპიროს.

საქართველო-სომხეთს შორის საზღვარი დაწესდა ტრაპიზონის—ერზერუმის ნავთსადგურის და ბათუმს შუა, რომელიც (ე. ი. ბათუმი) დარჩება საქართველოსთვის ზღვაზე გასასვლელ პუნქტად. ისტორიული თვალსაზრისით სომხებს არ აქვთ უფლება ტრაპიზონზე, მაგრამ ის ვიწრო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ამ ქალაქის ჩრდილოეთით არის შემაერთებელი ჯაჭვი ზღვასთან, და ეს იქნება ეკონომიური საზღვარი, რომლის სომხეთისათვის მინიჭებაზე უარს არ იტყვის არც ერთი მიუდგომელი კომისია. შავი ზღვის ნაპირიდან ჩრდილოეთის საზღვარი სომხეთისა წავა აღმოსავლეთით—შეიერთებს არტაანს, ყარსს, ალექსანდროპოლს—ერევნის გუბერნიის ახლანდელ საზღვრამდე, სადაც სჭარბობს სომხობა. სამხრეთით სომხეთის აღმოსავლეთის საზღვარი მიაღწევს სპარსეთის საზღვარს ქურთების მხარემდე, აღმოსავლეთით და დასავლეთით გაყვანილი იქნება სადემარკაციო ხაზი, რომელმაც უნდა გაჰყოს და დიდათ დააშოროს რაც შეიძლება ერთმანეთს ქურთებისა და სომხეთის ტერიტორია. ამ ხაზის გაყვანა შეიძლებოდა ბითლისის და ვანის პროვინციებზე დიარბეკირამდე. სადაც უნდა დაწესდეს არაბეთის საზღვარი, დიარბეკირიდან კი სამხრეთ დასავლეთით ალექსანდრეტიდან ხმელთა შუა ზღვამდე. დასავლეთით საზღვარს შიგნით დარჩება მერსინა, ხმელთა შუა ზღვის ნაპირად მდებარე. იქიდან კი ხაზი გაივლის ჩრდილოეთით იმ პუნქტამდე, რომელიც იქნება სამსუნსა და ორთა შორის შავი ზღვის ნაპირად. ეს ხაზი კი შეადგენდა ახალი სომხეთის დასავლეთ საზღვარს".

აი ეს ადგილი გამოსტოვა „ზაკავკაზსკოე სლოვომ".

## კახეთი

ვისაც კახეთი არ უნახავს—მას საქართველო არ უნახავს.

იქ მუდამ ბუნების დღესასწაული, ლიტანიაა.

სილამაზის და სიყვარულის ეროსი მუდამ თავს დასტრიალებს ალაზნის ველს.

ცამდის ატყორცნილი სალი კლდეები. კავკასიის ჯაჭვით გაბმული ქედი. მარად თოვლიანი. მარად ბუმბერაზი. მიუვალი მწვერვალნი. წმინდა ფიფქი. ცის სიცივე. ჰაერის სიმკვირცხლე. სისუმბუქე.

ძირს დაბლა ზურმუხტი ველი. ატეხილი ჭალა. დიადი ტყე. ფოთლების რხევა. მუსიკალობა. ჰიმნი სილამაზის და სიმშვენიერის.

სდგეხარ დათენთილი. გადასდიხარ ბურანში, ზღაპარში.

ჰქნება მელანქოლია ზვიადი სულის.

კახეთი მზიური ქვეყანაა.

სიღნაღი, თელავი. ორი ბურჯი კახეთის.

ლამაზია თელავი. მაგრამ უფრო ლამაზია და მომხიბლავი სიღნაღი.

შორიდან განსჭვრეტით იხილავთ „ვეფხის ტყაოსნის" ქაჯეთის ციხეს. ეს მხოლოდ ძირს. ალაზნის ველიდან. ლურჯი მთებიდან.

ის უმწვერვალეს მაღლობზე სდგას. დიდ მთა-გრეხილზე. ძნელია ასვლა, მაგრამ მაინც ასდიხართ. შეხვალთ უძველეს ნანგრევებიან გალავანში. გადიხედავთ და იხილავთ უფსკრულს. უფსკრულზე ჩავლებულია ძველი ციხე-სიმაგრე. ამის აშენება მხოლოდ ქაჯებს თუ შეეძლოთ. უცბად იგი თვალს მოგტაცებთ. უფსკრული გიტაცებთ. საზაროა. საშინელი. თავბრუ გესხმით.

მაგრამ იქიდან ისევ ეშვებით ძირს. მიხვეულ-მოხვეულ გზით მისდიხართ ქვეით. მოსჩანს სოფლები. კვარცხლებაკიდან დაჰყურებთ მთელ ალაზნის ველს.

შესანიშნავია სოფელი: ბაკურციხე. კახეთის სილამაზე აქ არის დაბნეული. ოდესღაც იგი უძველესი ქალაქი ყოფილა. მასში უცხოვრია მეფე ბაკურს. აუშენებია მრავალი ციხე-კოშკები. დროთა მსვლელობას მიუნგრევმოუნგრევია იგი და ეხლა ნატამალიც აღარ არის მისი ქალაქობის. მხოლოდ ლეგენდები და დარჩენილა.

აქ დგებიან ღამით თეთრი ლანდები. საოცარი მისტიური ხმები. წმინდა წყაროში ისახება ლამაზნი ალნი. აქედან ტაშივით მოსჩანს ალაზნის ველი.

მზის სხივები მუდამ სხლტებიან სპეტაკ ფიფქზედ, კრთებიან, ლაპლაპებენ.

ხშირად ხედავთ. ბაკურციხეში მზიანი დღეა. მხოლოდ იქ, შორს ალაზნის ველზე, კავკასიონის ქედის იქითკენ, დაღესტნისკენ ცა მოპირქუშებულა. შავი ღრუბლები შეკრულა ერთ ალაგას. მხრესავით გაწოლილა. ჰქუხს. მაღლა ზეციდან ალაზნის ველზე ჩამოშვებულა მუქი ლეჩაქი. წვიმს. დეკორაცია იცვლება. წყდება ღრუბლები და ისახება საოცნებო მოჩვენება, სურათები. თვალწარმტაცნი. ლამაზნი. ცისარტყელა იდგამს გვირგვინს.

ღამეა. მთვარე კაშკაშებს. ვარსკვლავებით შემოხვეული. მხოლოდ იქ შორს მთებში, გაუვალ ტყეში. ელავს. კინემატოგრაფიულ სიჩქარით იშლება სურათები.

გაზაფხულში, ზაფხულში, შემოდგომაზე, ზამთარში ერთ ყავად ბუნების დაუსრულებელი მისტერიაა. უქნობი სილამაზე. სიმშვენიერე. ერთი დღე მეორეს არა ჰგავს, სულ სხვა და სხვაობა. ბუნების სიდიადე. მომხიბლაობა. გრძნეული სულის მიმზიდველობა.

კახეთში არის ბევრი შესანიშნავი მონასტრები. მათ შორის შუამთა (თელავის მაზრისკენ) ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი. ორივე შესანიშნავია თავის მდებარეობით.

შუამთა უფრო ლამაზ ადგილას არის. მის გარშემო ტრიალებენ ტანჯულნი სულნი. იქ ცხოვრობდა სიყვარულისგან გატანჯული დედოფალი თინათინ. მის ნახვასთანვე გაგონდებათ ვ. ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი". მკვდრეთით სდგებიან მივიწყებულნი გმირნი. მწირი ნოშრევან, თინათინ, ლევან მეფე. მხეცლი გუკა. ლეილ-ყიზი.

გაგონდებათ ბნელი ღამე, ღრუბლიანი. ჩაბნელებული ტყე უღრანი, მონასტრის ზღუდეები, მძლავრი ქარის გუგუნი, მღეჭვი ხის ტოტები, ხარხარ-კისკისი უცნაურ ხმების, რომელიც აშფოთებდა გარესკნელ სიბნელეში მოცულ მონასტრის სარკმლიდან მოციმციმე სანთლის შუქს. ... ბით შეპყრობილ მონაზან თინათინს და შეშინებულ [illegible]

არა ნაკლებ შესახარ ამბავს მოგვითხრობს ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი. იქ წმ. ნინოს დღესასწაულის წინა ღამეს სარკოფაგის ლოდი აიწევა თავის თავად. იძვრის მონასტრის კედლები და ზარი გაბზარული ყრუდ იწყებს რეკვას.

ასეთ ლეგენდებით, ამბებით, სავსეა კახეთი.

იქ მუდამ ცხაურებაა. ბუნება გამოწყობილია ძვირფას ტანსაცმელში. მუდამ ქლიხ ტაშის კვრას და ცეკვას.

იქ ყოველთვის იწვის სული ტკბილ ხმაურში. მუდამ ჟამს ისმის განუწყვეტელი „მრავალ-ჟამიერ" და სვამთ ნექტარს სიტკბოებისას.

ვ. გარრიკი.

## ზოგი რამ

10 თებერვალს შესდგა თბილისის ახალ ხმოსნების სხდომა. ქალაქის თავმა კრება გახსნა ქართულ ენაზე. ეს იყო პირველი ისტორიული სხდომა განახლებულ საქართველოში, როდესაც პირველად გაისმა მშვენიერი ზრდილობიანი ქართული ენა თბილისის საბჭოში. მართალია, მხოლოდ ერთმა ზურაბიანმა ილაპარაკა რუსულად, თუმცა მან ქართული ენა სცოდნია. მაგრამ, რასაკვირველია, საქმის კარგად მსვლელობას ეს გარემოება არ დაუშლის. მხოლოდ ახალს ხმოსნებს ჰმართებთ ბეჯითობა და საქმიანობა და არა ცარიელი სიტყვა. საჭიროა სიფხიზლე ყოველ საქმეში, თორემ შეიძლება გაახარონ ის მტერ-მოყვარენი, რომელთა წარმომადგენელმა ირონიით წარმოსთქვა, რომ წინანდელ ხმოსნებსა და ეხლანდელთა შორის დიდი განსხვავება არისო. თუმცა ჩვენზე უკეთ თვით ხმოსნებმა იციან თავიანთი მოვალეობა, ჩვენ მაინც ნებას მივცემთ ჩვენ თავს ზოგი რამ გასაკეთებელი დავუსახელოთ ახალ ხმოსნებს.

როდესაც ხმოსანთა საარჩევნო ბარათებს არიგებდნენ, საყვედური გაისმოდა, რომ ბევრმა ეს ბარათები ვერ მიიღო. როგორც ამ საქმესთან ახლო მდგომმა, ამ საკითხს გულდასმით ჩავუკვირდით და როდესაც დამფუძნებელ კრების ამომრჩევ ბარათებს არიგებდნენ, აი რა გამოირკვა: ჯერ ერთი რომ ამომრჩეველთა სახელ-გვარები და მათი მისამართები ისე იყო დამახინჯებული, რომ ბევრის პოვნა ვერ შევძელით და ბარათები ძალაუნებურად ჩაუბარებლები დაგვრჩა; მეორეც ისა რომ ბევრი ბარათი ძალიან გაუგებარის ხელით იყო დაწერილი; ციფრები 4, 7 და 9 ხშირად ძალიან წააგავდნენ ერთმანეთს და ეს გარემოება ფრიად აფერხებდა საქმეს. ყველა ეს ბრალად ედება ქალაქის მართველობას, რომ მათ ისეთ პირებისათვის ჩაუბარებიათ ამ ბარათების ამოწერა, რომელნიც ან ძალიან უცოდინარნი ყოფილან და ბევრნი უყურადღებოდ მოქცევიან თავის მოვალეობას.

ამ ბარათების დარიგების დროს ძალაუნებურად ჩვენს ყურადღებას ეზოების სიბინძურე ჰუჭყი და საძაგელი სუნი იქცევდა, თუმცა მეეზოვენიც ჰყავნდათ, მაგრამ ეტყობოდა ისინი მხოლოდ იმიტომ არიან, რომ მეეზოვე ერქვათ. და მათი ხელის მხებლები არავინ იყვნენ, როგორც ვითომ და მეეზოვებისა. ბუნაგობენ აქ თავიანთი ცოლ-შვილებით ჰუჭყში და სიბინძურეში. ამათ თავ თავიანთვის რო ვერ მოუვლიათ, სხვას როგორ მოუვლიან?!

გული ვერ ითმენდა ამ სიბინძურეს რომ ჰხედავდა და როცა ჰკითხავდით რატომ არა ჰგვი და არ ასუფთავებ ამ ეზოს, ისინი ხელებს გაასავსავებდნენ, თვალებ დაჭყეტილნი გვიყურებდნენ, რადგან არც რუსული ესყურებოდათ, არც ქართული. ეს გარემოება გადამეტებული ნურავის ეგონება და მიგითითებთ კუკიაში გოგოლის და მალაკნის ქუჩებზე, ავლაბარში რიყეზედ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით თუ რა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია ქალაქი.

გარდა ამისა გადახედეთ ვორონცოვისეულ ხიდიდან მტკვრის რიყეზედ და დაინახავთ, რომ ხიდის ქვეშ წყალი ერთ ადგილას დაგუბებულა, გამწვანებულა და ჰყარს. იმას ცოტა ქვევით ნაგავსა ჰყრიან რაც საშინელ სუნს უშვებს. ასისგან ჰაერი იწამლება და რაც ხელს უწყობს ქალაქში ათასნაირ სენის გავრცელებას.

თბილისის ახალი განთქმული თავის წყლებით ეხლა ჰუჭყში ჰსცურავენ და ვინც-კი ურჩევენ მათ დასუფთავებას, ისინი მეაბანოვეებს მტრად მიაჩნიათ და ამ რჩევას ნაციონალურის თვალსაზრისით უყურებენ.

ამიტომ უპირველესად ყოვლისა ხალხის სისუფთავეს და ჯანმრთელობას უნდა მიექცეს ყურადღება.

საჭიროა აგრეთვე ჩქარი და სასტიკი ყურადღება მიექცეს ამ ზღაპრულ სიძვირესაც. ხალხი, ნამდვილი დემოკრატია ძალიან შეწუხებულია ამ საკვირველი სიძვირით და დიდ სიმშილს განიცდის. სიმშილისაგან დასუსტებულ ჯანს ხომ ყოველნაირი ავადმყოფობა მალე ერევა და ხალხი სწყდება, უხალისო ქალაქი ვის რაღად უნდა ან ვინ-და დარჩება მომვლელ-ყურისმგდებელი?!

მათე.

## კორესპონდენცია

### თელავის მაზრა

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მილიცია თავის უფროსებით, ათასნაირ საშუალებას ხმარობს ყაჩაღობის მოსასპობად, ყაჩაღობა მაინც არ ისპობა. თებერვლის 4-ს ღამე სოფელ წინანდალში მილიციონერებმა ერთ სახლში მოიმწყვდიეს ორი ყაჩაღი, ჯაშუშებმა ყაჩაღებს მიდგ აცნობეს ეს ამბავი და კარში გამოცვივდნენ. ორივე მხრიდან ერთმანეთს დაუშინეს თოფები, ყაჩაღებმა თავს უშველეს და ერთი დაჭრილი ამხანაგიც თან გაიტაცეს. მილიციონერებმა ყაჩაღების მასპინძელი შეიპყრეს და შინელი, პალტო-ნაბადი, „საქვაბე" და სხვა დააყარეს [illegible]. მეორე დღეს მთელი სოფელი შეიყარა, გამოიყვანეს და ყაჩაღების შემნახავები [illegible] ... რომელთაც, ორმა ჯაღლმა [illegible] როგორც ყაჩაღებს დასდევდნენ სახლის სხვა და სხვა ადგილებიდან [illegible] და [illegible]; სოფელმა ორს საქვეითო [illegible], განაჩენი [illegible] და თელავში [illegible] განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. ყაჩაღებიც და შემნახავებიც სომხები არიან.

იმავ ღამით სოფელ ვარდისუბანში მოჰკლეს მილიციონერებმა ერთი ყაჩაღი. ხუთს თებერვალს დღე თელავსა და კასისხევს შუა ვაკეში გაძარცვეს რამოდენიმე მგზავრი; ყაჩაღებმა მგზავრებს ტანისამოსიც კი წაართვეს. როგორც გვეთხრეს, აქ ყაჩაღები სხვა მხრიდან ყოფილან გადმოცვენილნი. წინანდლის საუფლისწულო მამულში მუშების ოჯახებში შავი (გადმოსყრუელი) სახადი არის გავრცელებული. ამ სენმა ბევრი იმსხვერპლა და ბევრიც ავად არის, სენის წინააღმდეგ ზომები მიღებული. სახადი ზოგიერთ სოფლებშიაც მძვინვარებს და იქაც ზომების მიღებაა საჭირო.

თელავში ერთი კარგი ჩვეულება შემოუღიათ, თუ გსურთ, რომ რამე სამსახური იშოვო, უნდა უსათუოდ ფედერალისტი იყო, თუ არა და თელავში ვერავითარ სამსახურს ვერ იშოვნი.

აქეთ მხარეს თვეზე მეტია სულ ციცვი და ყინვიანი დღეებია, საშინელი ცივა, რითაც ვენახების მუშაობას შესამჩნევად ხელს უშლის.

ამას წინად თელავში სამი ქურდით მოჰკლეს მაქრო საყვარელიძე, კაცი პატიოსანი და საზოგადოებაში პატივცემული, მკვლელი საყვარელიძისა სომეხია, მკვლელობის მიზეზად სხვა და სხვას იტყვიან. თელავში ამ უბედურების გამო ბევრი აღელვებულია.

ქართველი ოხებში ნამყოფი.

## თეატრი და მუსიკა

სამხატვრო-სალიტერატურო სალამო. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ ქ-ნ ე. ს. ბენდუქიძის დიასახლისობით გაიმართება ქართულ კლუბში კვირას, თებერვლის 23, შემდეგი შინაარსით: 1, სიტყვა—„საქართველო-სომხეთის ტრაგედია და ხელოვნება", იოსებ იმედაშვილი (ბრძოლის ველზე განცდილი შთაბეჭდილებანი) 2, პოეზია—გრიშაშვილი ი., ტაბიძე გალ., 3, მუსიკა—ბახუტაშვილი შულგინის, კალანდაძე-აგოსოვის, ი. სარაჯიშვილის, ი. ინაშვილის, და ლორთქიფანიძის მონაწილეობით. შემსრულებელნ არაყიშვილის, ბალანჩივაძის, გოგნიაშვილის, ფოცხვერაშვილის, ჯაბადარის და სხ. ნაწარმოები; 4, იუმორისტიკა—ქართველ მსახიობთა მონაწილეობით, 5, ქართული ბალეტი—ბალეტმეისტერ ალბერტისა და ანდრონიკაშვილის მონაწილეობით, საზანდარი—სანდროს დირიჟორობით. —პტიშკო, ბუფეტი, ლოტო და სხ. გასართობები. ბილეთები ქართულ კლუბის კასაში იყიდება.

დრამა „ტარტე". შაბათს, 22 თებერვალს ობოლენსკის ბენეფისია. წარმოდგენილი იქნება „ჰენრიხ ნავარელი".

მსახიობების ბარათოვისა და ყიფაროვის ჩამოსვლა. დიდ მარხვისთვის მოელიან ბარათოვის და ყიფაროვის ჩამოსვლას.

ოპერის სეზონი. ოპერის სეზონი გაგრძელდება პირველ მარხვამდე.

„სინათლე". დღეს, 20 თებერვალს, კავშირის ლოსი სახელმწიფო თეატრში სდგამს ი. გედევანიშვილის პიესას „სინათლეს", მეორე ნაწილს (მეორედ). ლასის გარდა მონაწილეობას მიიღებს საოპერო ლასი ხორი და ორკესტრი ბალეტი ვაკარელის ხელმძღვანელობით და ქ. ბაურნოკის მონაწილეობით. ამ პიესისათვის ქ. ფოცხვერაშვილის მიერ შედგენილია მუსიკალური ნომრები. მხატვარი ზალეცანის მიერ დახატულია ახალი დეკორაციები.

რედაქტორი ეგნატე ქიქოძე.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.

პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ — ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.
თბილისსა და მცხეთის შუა
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ე ქ ი მ ი

ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—25—2805

სამკურნალო კაბინეტი ექიმის [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ე ქ ი მ

ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სტკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი

ე. ა. მ ო ნ ს ე

ნერვიული, შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13-42.

1000—2119—3

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო

ვლადიმერ შატბერაშვილისა

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

ზომე სიფლია ფასებში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, უდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114—6 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო"

1919 წ. ხელისმოწერა მიიღება 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5.) (ქართულ. კლუბი).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო", ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.